



სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლა

ქ. თბილისი

18 06. 2018 წ.

ბრძანება № 2 - 138

2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მეორე პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის N18/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერტიფიცირების დებულების“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 13 ივნისის N563 ბრძანების მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს 2017-2018 სასწავლო წლის განმავლობაში საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეების მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტის გაცდენის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების განრიგი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად;
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმოებელს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).



სსიპ ქალაქ თბილისის N136 საჯარო სკოლის დირექტორი:

/ელზა ბადაშვილი/